Erasmus+
საერთაშორისო კვირეული 2022

სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის
თანამშრომლის მობილობა სწავლების მიზნით,
კაუნასის კოლეჯში/გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტში

2022 წლის 7-11 მარტს სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოც. პროფ. ეკატერინე აბზიანიძე, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, აკადემიური პერსონალის მობილობით იმყოფებოდა საერთაშორისო კვირეულზე კაუნასის კოლეჯში/გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (Kauno Kolegija / University of Applied sciences) (კაუნასი, ლიეტუვა). საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობას ღებულობდნენ უნივერსიტეტების წარმომადგენლები მსოფლიოს 40 ქვეყნიდან (საქართველო, ავსტრია, პოლონეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მექსიკა, სამხრეთ აფრიკა, სლოვაკეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, თურქეთი, პორტუგალია, ბელგია და სხვ.)

ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორმა კაუნასის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის წაიკითხა სალექციო კურსი ციფრული კომუნიკაციების, კერძოდ, ინფორმაციის თეორიისა და არხის კოდირების მიმართულებით.

კაუნასის კოლეჯში სტუმრობისას ასოც. პროფ. ეკატერინე აბზიანიძემ, ასევე, წარმოადგინა პრეზენტაცია ტექნიკურ უნივერსიტეტზე, ისაუბრა თავისი აკადემიური საქმიანობის შესახებ და კოლეგებს გაუზიარა არხის კოდირების მიმართულებით ჩატარებულ კვლევებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილება.

კაუნასის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში ახალგაზრდა ქართველ კოლეგას მასპინძლობას უწევდნენ გიდრიუს გეჩევიჩიუსი (Giedrius Gecevičius), ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, Erasmus+ კოორდინატორი ვიქტორია გუდაუსკაიტე (Victoria Gudauskaite), ფაკულტეტის სხვა წარმომადგენლები.

ლიეტუველ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე განხილული იქნა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

ვიზიტის დროს გათვალისწინებული იყო გაცნობითი და საქმიანი შეხვედრები, რომლებიც გაიმართა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში, Erasmus+ მობილობის კოორდინატორთან, ქალბატონ იოლანტა ვალიაუგიენეს ხელმძღვანელობით, (Jolanta Valiaugiene). განხილული იქნა უნივერსიტეტებს შორის შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები Erasmus+ Key Action 2 უმაღლესი განათლების სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების ფარგლებში.

მობილობის პროგრამა, ასევე, ითვალისწინებდა საერთაშორისო კვირეულის მონაწილეებისათვის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, კერძოდ, ქალაქ კაუნასის და ახლომდებარე ისტორიული ძეგლების დათვალიერებას, მასპინძელი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.